



ჩონატაურის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

2023-2025

დოკუმენტის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ PMCG და შესაძლოა რომ არ გამოხატავდეს USAID-ის ან შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

2023 წელი

შინაარსი

თავი 1. შესავალი	3
თავი 2. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მუშაობის პრაქტიკა	4
კომისიის უფლებამოსილებები	4
საჭიროებათა კვლევის შედეგები	7
თავი 3. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სტრატეგიული მიზნები და ამოცანები.....	10
სტრატეგიული მიზანი 1. საბიუჯეტო პროცესში კომისიის ეფექტიანი მონაწილეობა.....	10
სტრატეგიული მიზანი 2. კომისიის საზედამხედველო საქმიანობის გაუმჯობესება	12
სტრატეგიული მიზანი 3. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ინსტიტუციური გამდიდრება	15
სტრატეგიული მიზანი 4. მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა	17
სტრატეგიული მიზანი 5. კომისიის საქმიანობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა.....	18
სამოქმედო გეგმა 2023-2024	21

თავი 1. შესავალი

ჩოხატაურის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023-2025 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიზანია კომისიის მანდატის ეფექტურად განხორციელების ხელშეწყობა, საქართველოს კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული უფლებამოსილებების ეფექტიანი შესრულება, კომისიის ინსტიტუციურ გაძლიერება, საბიუჯეტო პროცესში კომისიის როლის გააქტიურება, საზედამხედველო ფუნქციების შესრულება და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ხელშეწყობა.

სტრატეგიული დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა მომზადდა საჭიროებათა კვლევის საფუძველზე.

გაანალიზდა შემდეგი დოკუმენტები:

- ჩოხატაურის საკრებულოს რეგლამენტი;
- საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულება;
- მერიის საფინანსო სამსახურის დებულება;
- საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023 წლის გეგმა-გრაფიკი;
- საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წლიური ანგარიში;
- საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის ოქმები.

ჩატარდა ფოკუს-ჯგუფები:

- ჩოხატაურის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წარმომადგენლებთან.

ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები:

- ჩოხატაურის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის წარმომადგენლებთან;
- მუნიციპალიტეტში მოქმედი სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან.

სტრატეგია ეფუძნება კვლევის ფარგლებში იდენტიფიცირებულ პრიორიტეტულ მიმართულებებს:

- კომისიის ინსტიტუციური განვითარება;
- საბიუჯეტო პროცესში ჩართულობა;
- საზედამხედველო საქმიანობა;
- საკრებულოში შიდა კომუნიკაციის გაუმჯობესება;
- საბიუჯეტო ორგანიზაციებთან კოორდინაცია;
- დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია;
- ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა.

თავი 2. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მუშაობის პრაქტიკა

კომისიის უფლებამოსილებები

მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია წარმოადგენს საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც იქმნება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 28-ე მუხლით, საკრებულოს რეგლამენტითა (დადგენილება #9; 2022 წლის 29 აპრილი) და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულებით (დადგენილება #49; 2017 წლის 21 დეკემბერი) დადგენილი წესით.

კომისია შექმნილია საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელისშეწყობის, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს, მერიის სტრუქტურული ერთეულების, აგრეთვე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით.

ჩოხატაურის საკრებულოს რეგლამენტითა და კომისიის დებულებით განსაზღვრულია კომისიის უფლებამოსილებები:

საჯარო ფინანსების მართვის სფერო:

- აკონტროლებს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესს;
- განიხილავს თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანოს წინადადებებს, გაანგარიშებებს შემოსულობებისა და გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებლების შესახებ, შეიმუშავებს შესაბამის დასკვნებს და რეკომენდაციებს;
- განიხილავს და ამზადებს დასკვნას თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის თაობაზე;
- განიხილავს და ამზადებს დასკვნას თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ ნორმატიული აქტის პროექტის განხილვაზე;
- განიხილავს ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას და საკრებულოს წარუდგენს შესაბამის დასკვნებს და რეკომენდაციებს;
- განიხილავს, ამზადებს დასკვნას და კომისიის თავმჯდომარე თანამომხსენებლად გამოდის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვის დროს;
- შეიმუშავებს წინადადებებსა და დასკვნებს ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღებისა და გაუქმების, მათზე შეღავათების დადგენის,

ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ;

- შეიმუშავებს წინადადებებსა და დასკვნებს ადგილობრივ ბიუჯეტში სარეზერვო ფონდის შექმნის და მისი განკარგვის წესების შესახებ, სამ თვეში ერთხელ საკრებულოს წარუდგენს ინფორმაციას სარეზერვო ფონდის გამოყენების შესახებ;
- განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს დასკვნას თვითმმართველი ერთეულის მიერ სესხის ან გრანტის აღების და შესაბამისი ხელშეკრულების პროექტთან დაკავშირებით;
- განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს დასკვნას საკრებულოს თავმჯდომარისათვის თანხმობის მიცემაზე ისეთ გარიგების დადებაზე, რომლის ღირებულება აღემატება თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის 5%-ს;
- და სხვ.

ზედამხედველობის სფერო:

- მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობის კონტროლი კომპეტენციის სფეროს ფარგლებში;
- განიხილავს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის, სამოქმედო გეგმის, და სხვა დოკუმენტებს და შეიმუშავებს დასკვნებს;
- აკონტროლებს საკრებულოს გადაწყვეტილებათა შესრულებას და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის დასკვნას წარუდგენს საკრებულოს;
- განიხილავს აუდიტორული შემოწმების ანაგარიშს და დასკვნას;
- ახორციელებს კონტროლს ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღების დროულობაზე და ზედამხედველობას უწევს ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის სამსახურს.

ინსტიტუციური განვითარება:

- საკრებულოსთვის კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენა;
- კომისიის გადაწყვეტილებით კომისიასთან შესაძლოა შეიქმნას საკონსულტაციო საბჭო, რომელიც შედგება შესაბამისი დარგის კომპეტენტური, სათანადო გამოცდილების მქონე, მოწვეული ექსპერტ-კონსულტანტებისაგან.

მერიასთან და საბიუჯეტო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა:

- წარადგენს თავის მოსაზრებებს იმ თანამდებობის პირთა კანდიდატურებზე, რომლებსაც ირჩევს ან ნიშნავს საკრებულო;
- საკრებულოს წარუდგენს დასკვნებს მის კომპეტენციას მიკუთვნებული სამართლებრივი აქტების პროექტებთან დაკავშირებით;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამდებობის პირები კომისიის მოთხოვნით ვალდებული არიან კომისიის მიერ დადგენილ გონივრულ ვადაში

წარუდგინონ მას შესაბამისი დოკუმენტები, დასკვნები და სხვა მასალები, დაესწრონ კომისიის სხდომებს, პასუხი გასცენ სხდომაზე დასმულ შეკითხვებზე და წარმოადგინონ გაწეული საქმიანობის ანგარიში.

კომისიის დებულების თანახმად საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე იწვევს და წარმართავს კომისიის სხდომას; გამოდის კომისიის სახელით საკრებულოში და საკრებულოს გარეთ; ანაწილებს ფუნქციებს კომისიის წევრებს შორის და აძლევს დავალებებს; ადგენს და საკრებულოს ბიუროს დასამტკიცებლად წარუდგენს კომისიის სამუშაო გეგმებს; უზრუნველყოფს სამუშაო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებას; ნიშნავს კომისიის საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობას; აკონტროლებს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას; საკრებულოს წარუდგენს წლიურ ანგარიშს კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

კომისიის დებულების მე-6 მუხლის თანახმად შესაძლოა შეიქმნას კომისიის სამუშაო ჯგუფები. კომისიის წევრთა გადანაწილებას სამუშაო ჯგუფებში კომისიის წევრთა სურვილის გათვალისწინებით ახდენს კომისიის თავმჯდომარე. კომისიის წევრი შეიძლება იყოს კომისიის რამდენიმე სამუშაო ჯგუფის წევრი. სამუშაო ჯგუფის ფუნქციაა თავის უფლებამოსილების ფარგლებში განიხილონ და მოამზადონ კომისიის სხდომაზე განსახილველი საკითხები.

კომისიის დებულების მე-7 მუხლის თანახმად შესაძლოა შეიქმნას კომისიის საკონსულტაციო საბჭო შესაბამისი დარგის კომპეტენტური, სათანადო გამოცდილების მქონე, მოწვეული ექსპერტ-კონსულტანტების, ასევე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წარმომადგენლებისაგან. კომისიის საბჭოს პერსონალურ შემადგენლობას მოწვეულ პირებთან შეთანხმებით განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე. საკონსულტაციო საბჭო კომისიის თავმჯდომარის წინადადებით წინასწარ განიხილავს კომისიის სხდომაზე განსახილველ საკითხებს შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს და წინადადებებს. განიხილავს კომისიის გამგებლობას მიკუთვნებულ სფეროში არსებულ პრობლემებს და მათ გადაწყვეტის შესაძლო გზებს.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის, სამუშაო ჯგუფებისა და საკონსულტაციო საბჭოს ორგანიზაციულ-ტექნიკურ მომსახურებას და საქმისწარმოებას უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი.

- **საბიუჯეტო პროცესი და კომისია**

ჩოხატაურის საკრებულოს რეგლამენტის 79-ე მუხლის თანახმად, პრიორიტეტების დოკუმენტი და ბიუჯეტის პროექტი წინასწარი განხილვისათვის გადაეცემა საკრებულოს კომისიებს და ფრაქციებს. **საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა**, საკრებულოს სხვა კომისიების, საკრებულოს ფრაქციების, საკრებულოს წევრების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, იურიდიული პირების, მოქალაქეების წინადადებები, შენიშვნები და

შეფასებები თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტსა და ბიუჯეტის პროექტზე არაუგვიანეს 25 ნოემბრისა ბარდება საკრებულოს აპარატს.

მერი ვალდებულია საფინანსო სამსახურთან, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის, საკრებულოს ფრაქციების წარმომადგენლებთან და შენიშვნის ავტორებთან ერთად განიხილოს **ბიუჯეტის პროექტზე გამოთქმული შენიშვნები და ბიუჯეტის პროექტის** იმავე ან შესწორებული ვარიანტი შენიშვნებზე დასკვნასთან ერთად (რომელშიც აღინიშნება თითოეული შენიშვნა და ამ შენიშვნის მიღების ან უარყოფის დასაბუთება) არაუგვიანეს 10 დეკემბრისა წარუდგინოს საკრებულოს.

საკრებულოს რეგლამენტის თანახმად, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნას საკრებულოს სხდომას აცნობს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ან ამ კომისიის მიერ დანიშნული მომხსენებელი (მუხლი 80).

საკრებულოს რეგლამენტის 83-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, **ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს** საკრებულოს სხდომაზე წარადგენს მერი, ან მის მიერ დანიშნული უფლებამოსილი პირი, რომელიც საკრებულოს სხდომას წარუდგენს ანგარიშთან დაკავშირებით გამოთქმულ შენიშვნებზე ახსნა-განმარტებას. **თანამომხსენებლის სახით ისმენს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნას**, არსებობის შემთხვევაში დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნასაც, აგრეთვე საკრებულოს აპარატის უფროსის მოხსენებას საზოგადოებრივი აზრის შესწავლის შედეგებთან დაკავშირებით (საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ჩატარების შემთხვევაში).

საფინანსო ნორმატიული აქტის პროექტზე კომისია ასევე ამზადებს დასკვნას. რეგლამენტის მუხლი 84-ის თანახმად, საფინანსო ნორმატიული აქტის პროექტად ითვლება ყველა ის პროექტი, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსებზე. ნორმატიული აქტის პროექტის ხასიათის საკითხს წყვეტს საკრებულოს ბიურო საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისა და მერიის საფინანსო სამსახურის დასკვნების საფუძველზე. საფინანსო ნორმატიული აქტის პროექტის განხილვის დაწყებისათვის აუცილებელია მერის და **საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა** ამ ნორმატიული აქტის პროექტის ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსებზე გავლენის შესახებ.

საჭიროებათა კვლევის შედეგები

აღსანიშნავია, რომ კომისიის წევრებთან შეხვედრის დროს გამოიკვეთა, რომ კომისიის მიერ თითქმის ყველა უფლებამოსილების შესრულება ხდება საქართველოს კანონმდებლობისა და მუნიციპალიტეტის ნორმატიული აქტების შესაბამისად.

კვლევის პროცესში რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ კომისია მერიის საფინანსო სამსახურის ყველა სამუშაოს აკონტროლებს, ჩართული არიან ბიუჯეტების პროცესში მანამ, ვიდრე საკრებულოში შემოვა ბიუჯეტის პროექტი. მერიის პრიორიტეტების დოკუმენტის სამუშაო ჯგუფის წევრია კომისიის თავმჯდომარე.

კვლევის პროცესში გამოვლინდა როგორც კარგი პრაქტიკის მაგალითები, ასევე გამოწვევები:

- კომისია ყოველ კვარტალში ამზადებს გეგმა-გრაფიკს და მონიტორინგს უწევს მის შესრულებას;
- კომისიას გასვლითი სხდომების პრაქტიკა არ აქვს დანერგილი, თუმცა კომისიის წევრი დეპუტატები მოქალაქეებთან მუდმივად ატარებენ ფორმალურ და არაფორმალურ შეხვედრებს;
- ტექნიკური არ არის აღჭურვილი სხდომათა დარბაზი. ცუდი აკუსტიკა აქვს დარბაზს და ხმა საერთოდ არ ისმის;
- კომისია აქტიურად ცდილობს მუნიციპალიტეტის შემოსავლების გაზრდაზე მოახდინოს გავლენა.

კომისიის წევრების აზრით, მნიშვნელოვანია გაიზარდოს კომისიის წევრების კომპეტენცია.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მხრიდან საკრებულოს სხვა კომისიებთან აქტიურია თანამშრომლობა, განსაკუთრებით ბიუჯეტების პროცესში. ბიუჯეტის პროექტის საკრებულოში შეტანის შემდეგ კომისია კოორდინაციას უწევს სხვა კომისიებში პროექტის განხილვას, საბოლოოდ აჯერებს ყველას მოსაზრებას, როგორც ეს საკრებულოს რეგლამენტითა და კომისიის დებულებით არის განსაზღვრული.

როგორც საფინანსო სამსახურის უფროსმა განაცხადა, საკრებულოს კომისიასთან ეფექტური თანამშრომლობის პრაქტიკა აქვს სამსახურს ჩამოყალიბებული.

კვლევის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია აპარატი როლი კომისიის მუშაობაში. კომისიას როგორც ტექნიკურ, ასევე ინტელექტუალურ დახმარებას უწევენ საკრებულოს აპარატის თანამშრომლები. სამი განყოფილებიდან (საოქმო, საორგანიზაციო და იურიდიული განყოფილება) ის ერთვება კომისიის მუშაობაში, რომელიც რგოლიც არის საჭირო.

მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე უზრუნველყოფილია კომისიის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება.

- ✓ კომისიის სხდომების თაობაზე წინასწარ ქვეყნდება ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;
- ✓ კომისიის სხდომის ოქმები გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;
- ✓ განთავსებულია კომისიის წევრების შესახებ ინფორმაცია;
- ✓ საჯაროა კომისიის საქმიანობის წლიური ანგარიში;
- ✓ გამოქვეყნებულია კომისიის კვარტალური გეგმა-გრაფიკები.

დაბალია მოქალაქეთა ჩართულობა საბიუჯეტო პროცესში. კვლევის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ სამოქალაქო ბიუჯეტირების პროცესის მიმართ უფრო დიდი იყო მოქალაქეების დაინტერესება და ჩართულობა, თუმცა ბიუჯეტის საჯარო განხილვებს ნაკლებად ესწრებიან.

„2023 წელს USAID-ის პროექტის ფარგლებში პირველად ჩატარდა 2022 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების საჯარო განხილვა, სამოქალაქო სექტორიდან მხოლოდ რამდენიმე მონაწილე ესწრებოდა.

კომისიის წევრები ამბობენ, რომ ანგარიშების წარდგენის დროს ყოველთვის უკავშირდებიან დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს. თუმცა მათთან თანამშრომლობას სისტემატური სახე მანც არ აქვს.

სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების მონაცემთა ბაზა არც საკრებულოს და არც კომისიას არ აქვს.

თავად სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა აზრით, ძალიან სუსტია საკრებულოსთან და განსაკუთრებით კი საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასთან მათი თანამშრომლობა.

თავი 3. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

სტრატეგიული მიზანი 1. საბიუჯეტო პროცესში კომისიის ეფექტიანი მონაწილეობა

ამოცანა 1.1. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის ფორმირების პროცესში კომისიის ჩართულობის უზრუნველყოფა

საქართველოს კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის ნორმატიული აქტებით განსაზღვრულია საბიუჯეტო პროცესში საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის უფლებამოსილებები. აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტირების პირველ ეტაპზე, საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესში მხოლოდ ადმსრულებელი ხელისუფლებას ჩართული და საკრებულოს უფლებამოსილება კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის. თუმცა, კარგი პრაქტიკის დანერგვისთვის მნიშვნელოვანია, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წარმომადგენელი (თავმჯდომარე) ჩართული იყოს ბიუჯეტის დაგეგმვის პირველივე ეტაპიდან.

მნიშვნელოვანია, კომისიის თავმჯდომარე იყოს მერის პირველი მარტის ბრძანებით შექმნილი პრიორიტეტების დოკუმენტის სამუშაო ჯგუფის წევრი და აქტიურად იღებდეს მონაწილეობას ჯგუფის მუშაობაში. მერის მიერ 1 მარტის ბრძანების გამოცემამდე საკრებულოს თავმჯდომარე ადმსრულებელ ორგანოს წარუდგენს იმ უფლებამოსილ პირს(პირებს), ვინც საკრებულოს მხრიდან ჩაერთვება პრიორიტეტების დოკუმენტის სამუშაო ჯგუფის მუშაობაში, მათ შორის კი პირველ რიგში, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურას.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის სამუშაო ჯგუფში ჩართულობა ხელს უწყობს კომისიის წევრებისა და საკრებულოს სხვა კომისიების ინფორმირებულებას პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის მომზადების თაობაზე.

ამოცანა 1.2. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ მოქალაქეთა საჭიროებების იდენტიფიცირება, საკითხების პრიორიტეტიზაცია და საბიუჯეტო ინიციატივების მომზადება

პრიორიტეტების დოკუმენტში მოქალაქეთა საჭიროებების ასახვის მიზნით კომისია აანალიზებს როგორც სხვადასხვა გზით მიღებულ ინფორმაციას (წერილები, განცხადებები, საჯარო განხილვები, მოქალაქეთა მიღების დროს გამოთქმული საკითხები და სხვ.) და ასევე კოორდინაციას უწევს საკრებულოს მიერ საჭიროებათა კვლევის ჩატარებას და ანალიზს, ახდენს საკითხების პრიორიტეტიზაციას და ადმსრულებელი ორგანოსთვის მიწოდებას.

პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვერსიის მომზადებისა და განხილვის შემდეგ კომისია მუშაობს საბიუჯეტო ინიციატივებზე, რომელსაც პროგრამული ბიუჯეტის ფორმატში ამზადებს (პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება, განმახორციელებელი ორგანიზაცია, სავარაუდო ბიუჯეტი, მიზანი, აღწერა: *საკითხის მნიშვნელობა, აქტუალობის დასაბუთება, პრობლემის გამომწვევი მიზეზი, პირდაპირი და არაპირდაპირი ბენეფიციარების შესახებ ინფორმაცია, გადაჭრის გზები*, მოსალოდნელი საბოლოო/შუალედური შედეგი, შედეგის ინდიკატორები (საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებლები, ცდომილების ალბათობა, რისკი).

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია კოორდინაციას უწევს სხვადასხვა კომისიების მიერ მომზადებული წინადადებებისა და ინიციატივების შეჯერებას და საკრებულოს აპარატისთვის მიწოდებას. საკრებულოს აპარატი არეგისტრირებს დოკუმენტებს და გადასცემს საკრებულოს თავმჯდომარეს. თავის მხრივ, საკრებულოს თავმჯდომარე უზრუნველყოფს მერისთვის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისა და სხვა კომისიების მიერ მომზადებული რეკომენდაციებისა და საბიუჯეტო ინიციატივების მიწოდებას.

ამოცანა 1.3. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვერსიის საკრებულოში განხილვის ხელშეწყობა

პრიორიტეტების დოკუმენტის სამუშაო ჯგუფი 15 აგვისტოსთვის მერს წარუდგენს პრიორიტეტების დოკუმენტის პირველად ვერსიას. თუკი მერიის მიერ არ მოხდება დოკუმენტის გამოქვეყნება, საკრებულოს კომისია კოორდინაციას გაუწევს მერიიდან პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვერსიის გამოთხოვას და გასაჯაროებას.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია განიხილავს დოკუმენტის პირველად ვერსიას (შესაძლოა ასევე ჩატარდეს კომისიების გაერთიანებული სხდომა), აანალიზებს, რამდენად არის გათვალისწინებული საკრებულოს მიერ მიწოდებული რეკომენდაციები.

კომისია, მერიის შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით, ორგანიზებას უწევს პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვერსიის საჯარო განხილვის ჩატარებას. საჯარო განხილვის დროს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ დოკუმენტის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების შემდეგ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე წარადგენს კომისიის მიერ მომზადებულ და მერიაში წარდგენილ რეკომენდაციებს, აღნიშნავს, დოკუმენტში რა საკითხები იქნა ასახული. ამის შემდეგ ისმენენ მერიის პასუხს, ბიუჯეტის საბოლოო პროექტში საკრებულოს რეკომენდაციებიდან რა საკითხები იქნება გათვალისწინებული.

ამოცანა 1.4. საკრებულოში პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის განხილვის კოორდინაცია

მუნიციპალიტეტის მერის მიერ საკრებულოში ფინანსური დოკუმენტების პირველადი წარდგენის შემდეგ (არა უგვიანეს 15 ნოემბრისა) საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

კოორდინაციას უწევს კომისიური განხილვების პროცესს. ტარდება დარგობრივი კომისიების ერთობლივი სხდომები.

კომისიის თავმჯდომარე უზრუნველყოფს კომისიის ყველა წევრის თანაბარ ჩართულობას კომისიის მუშაობაში. სხვადასხვა პოლიტიკური ძალების წარმომადგენლების მონაწილეობით ამზადებს რეკომენდაციებს.

კომისიის სპეციალისტების ჩართულობით განიხილავს და აჯერებს სხვა კომისიების მიერ ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით მიწოდებულ შენიშვნებს, ამზადებს საბოლოო რეკომენდაციებს, წარუდგენს საკრებულოს აპარატს.

კომისია აქტიურად არის ჩართული ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვის ორგანიზებაში. საჯარო განხილვის დროს კომისიის თავმჯდომარე სიტყვით გამოდის, სადაც მონაწილეებს აცნობს კომისიის მიერ მომზადებულ რეკომენდაციებს.

მერის მიერ საკრებულოში ბიუჯეტის პროექტის მეორე წარდგენის (10 დეკემბერი) შემდეგ კომისია განიხილავს შესწორებულ ვერსიას, კომისიის თავმჯდომარე ამზადებს დასკვნას და სიტყვით გამოდის საკრებულოს სხდომაზე.

საკრებულოს რეგლამენტისა და კომისიის დებულების შესაბამისად კომისია განიხილავს მერის მიერ დამტკიცებულ ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების პროექტს. კომისიის თავმჯდომარე უზრუნველყოფს კომისიის ყველა წევრის თანაბარ ჩართულობას კომისიის მიერ ბიუჯეტის ცვლილებების პროექტის განხილვაში, ამზადებს რეკომენდაციებს და სიტყვით გამოდის საკრებულოს სხდომაზე ბიუჯეტში ცვლილებების დამტკიცების დროს.

ამოცანა 1.5. კომისიის ჩართულობა მუნიციპალიტეტის ფინანსური რესურსების განკარგვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში

კომისია რეგლამენტის შესაბამისად საკრებულოს წარუდგენს ინფორმაციას სარეზერვო ფონდის გამოყენების შესახებ, განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს დასკვნას თვითმმართველი ერთეულის მიერ სესხის ან გრანტის აღების და შესაბამისი ხელშეკრულების პროექტთან დაკავშირებით.

სტრატეგიული მიზანი 2. კომისიის საზედამხედველო საქმიანობის გაუმჯობესება

ამოცანა 2.1. ბიუჯეტის შესრულების კონტროლი

კომისია განიხილავს ბიუჯეტის კვარტალური შესრულების ანგარიშებს. კომისიის თავმჯდომარე უზრუნველყოფს კომისიის ყველა წევრის თანაბარ ჩართულობას კვარტალური ანგარიშის განხილვის პროცესში.

კომისია საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს წერილობით მიმართავს, რათა კანონმდებლობით მოთხოვნილ კვარტალურ ანგარიშთან ერთად (შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან) წარუდგინოს პროგრამული შესრულების მოკლე მიმოხილვა: პროგრამების/ქვეპროგრამების განხორციელების დინამიკა და იმ დროისთვის მიღწეული სამიზნე მაჩვენებლები.

კომისია მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად განიხილავს პროგრამული ბიუჯეტის შესრულების შედეგებს, რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესრულება და კვარტლის შესაბამისად არის თუ არა მიღწეულია დაგეგმილი ინდიკატორები. კომისია ამზადებს რეკომენდაციებს და წარუდგენს საკრებულოს აპარატს. საკრებულოს თავმჯდომარის სახელით აპარატი უზრუნველყოფს რეკომენდაციების აღმასრულებელი ორგანოსთვის მოწოდებას.

კომისია (საკრებულოს რეგლამენტისა და კომისიის დებულების შესაბამისად) განიხილავს საკრებულოში მერის მიერ წარდგენილ ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიშს. კომისიის თავმჯდომარე ხელს უწყობს კომისიის ყველა წევრის თანაბარ ჩართულობას განხილვის პროცესში და ამზადებს დასკვნას.

საკრებულოს სხდომაზე ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიშის განხილვისას თანამომხსენებელია კომისიის თავმჯდომარე.

ამოცანა 2.2. აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადებული სხვადასხვა დოკუმენტების განხილვა და შესრულების მონიტორინგი

კომისია განიხილავს აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადებულ პოლიტიკის დოკუმენტებს, როგორც არის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი, დარგობრივი სტრატეგიული დოკუმენტები, სამოქმედო გეგმები, გენერალური განვითარების გეგმა და სხვა დოკუმენტები. აღნიშნულ დოკუმენტებთან დაკავშირებით კომისია ამზადებს რეკომენდაციებს და წარადგენს საკრებულოს სხდომაზე დოკუმენტების განხილვის დროს.

კომპეტენციის ფარგლებში კომისიის თავმჯდომარე ჩართულია აღნიშნული დოკუმენტების მომზადების პროცესშიც.

კომისია გამოითხოვს აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადებული და საკრებულოს მიერ დამტკიცებული პოლიტიკის დოკუმენტების იმპლემენტაციის შესახებ ინფორმაციას და ისმენს შესაბამისი თანამდებობის პირის ანგარიშს. ამზადებს დასკვნებს და წარადგენს საკრებულოს სხდომაზე.

ამოცანა 2.3. მერიის სტრუქტურული ერთეულების ზედამხედველობის გაუმჯობესება

კომისია ამზადებს მერიის სტრუქტურული ერთეულების ანგარიშების მოსმენის განრიგს. კომისიის თავმჯდომარე უზრუნველყოფს კომისიის წევრების ინფორმირებას სამსახურის უფროსის ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

კომისიის სხდომაზე იწვევენ მერიის დარგობრივი სამსახურების უფროსებს. სხდომაზე თითოეულ წევრს აქვს სიტყვით გამოსვლის შესაძლებლობა, საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.

სამსახურის ანგარიშის მოსმენის შემდეგ კომისია ამზადებს რეკომენდაციებს, რომელსაც რეგლამენტის შესაბამისად უზიარებს საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელიც უგზავნის აღმასრულებელ ორგანოს.

ამოცანა 2.4. მერიის იურიდიული პირების ზედამხედველობის გაუმჯობესება

კომისია ამზადებს მერიის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ანგარიშების მოსმენის განრიგს. კომისიის თავმჯდომარე უზრუნველყოფს კომისიის წევრების ინფორმირებას იურიდიული პირების ხელმძღვანელების ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

კომისიის სხდომაზე თითოეულ წევრს აქვს სიტყვით გამოსვლის შესაძლებლობა, საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.

იურიდიული პირების ანგარიშის მოსმენის შემდეგ კომისია ამზადებს რეკომენდაციებს, რომელსაც უზიარებს საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელიც უგზავნის აღმასრულებელ ორგანოს.

ამოცანა 2.5. აუდიტის ანგარიშების განხილვა

კომისია აქტიურად თანამშრომლობს მერიის შიდა აუდიტის სამსახურთან, ისმენს სამსახურის უფროსის ანგარიშს. კომისია ასევე განიხილავს შიდა აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებულ დასკვნებს.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია სხდომაზე განიხილავს სახელმწიფო აუდიტის ანგარიშს. სხდომაზე ასევე მოწვეული არიან ყველა იმ სამსახურების ან/და საბიუჯეტო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომელთა საქმიანობაც უარყოფითად იყო შეფასებული სახელმწიფო აუდიტის დასკვნაში. სხდომაზე გამოთქმული წინადადებების საფუძველზე მზადდება რეკომენდაციები.

კომისია ხელს უწყობს საკრებულოს სხდომაზე სახელმწიფო აუდიტის დასკვნის განხილვას. კომისიის თავმჯდომარე საკრებულოს წევრებს წარუდგენს მომზადებულ რეკომენდაციებს.

ამოცანა 2.6. მუნიციპალიტეტის შემოსულობების ზრდასთან დაკავშირებული ინიციატივების მომზადებაში ჩართულობა

კომისია აქტიურად მონაწილეობს მუნიციპალიტეტის შემოსავლების ზრდასთან დაკავშირებული ახალი ინიციატივების მომზადებასა და მერიის მიერ წარდგენილი საკითხების განხილვაში.

რეგლამენტის შესაბამისად შეიმუშავებს წინადადებებსა და დასკვნებს ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღებისა და გაუქმების, მათზე შეღავათების დადგენის, ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ.

კომისია ჩართულია მუნიციპალიტეტის შემოსავლების ზრდასთან დაკავშირებული ინიციატივების ცენტრალურ ხელისუფლების დონეზე განხილვაში.

სტრატეგიული მიზანი 3. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ინსტიტუციური გაძლიერება

ამოცანა 3.1. კომისიის დებულების ცვლილება

კომისია განიხილავს საკრებულოს მიერ დამტკიცებულ კომისიის დებულებას, საჭიროების გათვალისწინებით ამზადებს ცვლილებების პროექტს და საკრებულოს განსახილველად წარუდგენს რეგლამენტით გათვალისწინებული წესით.

ამოცანა 3.2. კომისიაში თემატური სამუშაო ჯგუფების შექმნა

საჭიროების შემთხვევაში, კომისიის დებულების შესაბამისად, კომისია ქმნის თემატურ სამუშაო ჯგუფებს, რომელშიც უზრუნველყოფილია ყველა პოლიტიკური ძალის წარმომადგენლის ჩართულობა.

სამუშაო ჯგუფების შექმნა და უფლებამოსილება განისაზღვრება კომისიის დებულებით.

ამოცანა 3.3. შიდა კოორდინაციის ხელშეწყობა

კომისიის თავმჯდომარე უზრუნველყოფს კომისიაში წარმოდგენილი ყველა პოლიტიკური ძალის თანაბარ მონაწილეობას კომისიის საქმიანობაში, მათ ინფორმირებულობას დაგეგმილი აქტივობების შესახებ და კოორდინაციას უწევს აპარატის მიერ კომისიის წევრებისთვის ყველა დოკუმენტის დროულად მიწოდებას.

კომისია აქტიურად თანამშრომლობს საკრებულოს დარგობრივ კომისიებთან, ფრაქციებთან და ბიუჯეტის საკითხებზე უზრუნველყოფს მათ ინფორმირებულობას.

კომისია ასევე ეფექტურად თანამშრომლობს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურთან.

ამოცანა 3.4. კომისიის წევრებისა და აპარატის თანამშრომლების უნარების გაძლიერება

კომისიის წევრებისა და აპარატის თანამშრომელთა უნარების გაძლიერების მიზნით ყოველწლიურად ტარდება საჭიროებების კვლევა.

კვლევის ჩატარებას კოორდინაციას უწევს კომისიის თავმჯდომარე, რომლის ჩართულობითაც მზადდება კვლევის კითხვარი. აპარატი უზრუნველყოფს კომისიის წევრებისა და აპარატის თანამშრომლობის კვლევაში მონაწილეობას. კომისიის თავმჯდომარე უზრუნველყოფს საჭიროებათა კვლევის შედეგების კომისიისთვის გაცნობას.

საჭიროებათა კვლევის შედეგების საფუძველზე იგეგმება შესაბამისი ტრენინგების თემატიკის განსაზღვრა და ჩატარება.

საბიუჯეტო საკითხებთან დაკავშირებულ ტრენინგებში მონაწილეობენ როგორც კომისიის წევრები, ასევე სხვა დარგობრივი კომისიების წევრები და აპარატის თანამშრომლები.

ამოცანა 3.5. საკონსულტაციო საბჭოს შექმნა

კომისიის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, კომისიის დებულების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში იქნება საკონსულტაციო საბჭო.

საკონსულტაციო საბჭოს მუშაობა განსაზღვრულია კომისიის დებულებით.

ამოცანა 3.6. თანამშრომლობა გარე აქტორებთან და კარგი პრაქტიკის გაზიარება

კომისია აქტიურად თანამშრომლობს როგორც გურიის რეგიონის, ასევე სხვა რეგიონების მუნიციპალიტეტების საკრებულოების საფინანსო-საბიუჯეტო კომისიებთან. ეცნობა მათ მიერ დანერგილ კარგი პრაქტიკას და ნერგავს საუკეთესო გამოცდილებას. ამასთან ინტერმუნიციპალური თანამშრომლობა ხელს შეუწყობს არსებულ გამოწვევებზე დისკუსიის გაშლას და ეფექტურ გადაწყვეტილებების მოძიებას.

კომისია თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და მათი ჩართულობით ეცნობა დასავლეთში დანერგილ კარგ პრაქტიკებს.

კომისია, ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით, იღებს საერთაშორისო ორგანიზაციების ტექნიკურ მხარდაჭერას და ითვალისწინებს მათ რეკომენდაციებს.

ამოცანა 3.7. კომისიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება

კომისიის ეფექტური მუშაობისთვის მნიშვნელოვანია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, სხდომათა დარბაზის ტექნიკური აღჭურვა, რათა უზრუნველყოფილი იყოს კომისიის სხდომების ჩაწერა.

კომისიის სამუშაო სივრცის გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და მათი ფინანსური მხარდაჭერის მოპოვება.

სტრატეგიული მიზანი 4. მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა

ამოცანა 4.1. დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და მონაცემთა ბაზის მომზადება

კომისია საკრებულოს აპარატის ჩართულობით ახდენს დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირებას, ვისთვისაც მნიშვნელოვანია საბიუჯეტო პროცესში მონაწილეობა.

საკრებულოს აპარატი მოიძიებს მუნიციპალიტეტში მოქმედი სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების, სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების თუ აქტიური მოქალაქეების შესახებ ინფორმაციას და ამზადებს დაინტერესებულ მხარეთა ბაზას, სადაც მითითებული იქნება ორგანიზაციის/ინტერესთა ჯგუფის საკონტაქტო ინფორმაცია: ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ელექტრონული ფოსტა, ტელეფონის ნომერი, ფაქტობრივი მისამართი.

კომისიის თავმჯდომარის სახელით საკრებულოს აპარატი ყველა იდენტიფიცირებულ სუბიექტს უგზავნის ელექტრონულ წერილს ან სატელეფონო კომუნიკაციის გზით სთავაზობს თანამშრომლობას. მათი თანხმობის შემთხვევაში კომისია ადგენს დაინტერესებულ მხარეთა ნუსხას.

კომისიის თავმჯდომარის კოორდინაციით საკრებულოს აპარატის სპეციალისტი ზემოაღნიშნულ ნუსხაში მყოფ ყველა სუბიექტს უგზავნის კომისიის შესახებ ყველა საჯარო ინფორმაციას, ასევე კომისიის სხდომებში, დაგეგმილი სამუშაო შეხვედრებსა და საჯარო განხილვებზე მონაწილეობის მისაღებად მოსაწვევს.

ამოცანა 4.2. მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა ბიუჯეტის ფორმირების პროცესში

კომისია სხვადასხვა ფორმატით თანამშრომლობს მოქალაქეებთან და სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფებთან, ახდენს მათი საჭიროებების იდენტიფიცირებას.

კომისიის წევრები ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით ატარებენ გასვლით შეხვედრებს და ისმენენ მოქალაქეთა საჭიროებებს.

კომისიის თავმჯდომარე უზრუნველყოფს კომისიის სხდომებზე მოქალაქეთა მონაწილეობას და სიტყვით გამოსვლას.

კომისია ხელს უწყობს პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის საჯარო განხილვებში მოქალაქეთა მონაწილეობას:

- პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვერსიის საჯარო განხილვაში დაინტერესებული პირების მოწვევა;
- საკრებულოში ბიუჯეტის პროექტის წარდგენის შემდეგ საჯარო განხილვაში დაინტერესებული პირების მონაწილეობის ხელშეწყობა: მათი მოწვევა და გამოთქმული მოსაზრებების ჩანიშვნა და სისტემატიზაცია;

- ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიშის თაობაზე საჯარო განხილვის ორგანიზება და დაინტერესებული პირების მონაწილეობის ხელშეწყობა: მათი მოწვევა და გამოთქმული მოსაზრებების ჩანიშვნა და სისტემატიზაცია;

ამოცანა 4.3. მოქალაქის გზამკვლევის მომზადებაში ჩართულობა

კომისია თანამშრომლობს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურთან ბიუჯეტის თაობაზე მოქალაქის გზამკვლევის მომზადების პროცესში.

კომისია მონაწილეობს ბიუჯეტის წლიური შესრულების თაობაზე მოქალაქისთვის გამარტივებული გზამკვლევის მომზადებაში.

ამოცანა 4.4. აკადემიურ სფეროსთან, სამოქალაქო სექტორთან და კვლევით ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

კომისია თანამშრომლობს რეგიონში მოქმედ პროფესიულ სასწავლებლებთან, სამოქალაქო სექტორთან და კვლევით ორგანიზაციებთან. ასევე სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებთან, საკრებულოს მიერ მათთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება.

ეცნობა მათ მიერ ჩატარებულ კვლევებს. ამასთან მათი ჩართულობით კომისია ატარებს სხვადასხვა კვლევებს, კონფერენციებსა და თემატურ შეხვედრებს.

სტრატეგიული მიზანი 5. კომისიის საქმიანობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა

ამოცანა 5.1. კომისიის საქმიანობის ანგარიშვალდებულების გაზრდა

